

## სსიპ - კოლეჯის „თეთნულდი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვისა და განხორციელების შიდა მხარდაჭერის ჯგუფის დებულება

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ კოლეჯის „თეთნულდი“ საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვისა და განხორციელების შიდა მხარდაჭერის ჯგუფი (შემდგომში შიდა მხარდაჭერის ჯგუფი) წარმოადგენს სასწავლო დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვისა და განხორციელებისათვის შექმნილ დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.
2. ჯგუფი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, კანონქვემდებარე აქტებით, სასწავლო დაწესებულების წესდებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მეთოდოლოგიით, წინამდებარე დებულებით, პროფესიული პროგრამების დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და მხარდაჭერის კონცეფციის შესაბამისად.
3. ჯგუფი თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელია კოლეჯის დირექტორის წინაშე და ასრულებს კანონითა და ამ დებულებით გათვალისწინებულ მოვალეობებს.

### მუხლი 2. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის საქმიანობის სფერო

შიდა მხარდაჭერის ჯგუფის საქმიანობის სფეროა სასწავლო პროგრამის განხორციელებაზე შიდა მონიტორინგი და ხელშეწყობა. სასწავლო პროგრამის შიდა მონიტორინგის ჯგუფი დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით და განსაზღვრულია მონიტორინგის ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირები. ჯგუფის სამუშაო გეგმა მოიცავს შემდეგ ეტაპებს: მონიტორინგის პროცესის წარმართვა, ანგარიშგება, სწავლება, ორგანიზაციული განვითარება, კომუნიკაცია და სხვა.

შიდა მხარდაჭერის ჯგუფი დასაწერგი მოდულების სწავლების დონის აღწერას ახორციელებს შემდეგი კრიტერიუმების შეფასებით:

- სასწავლო გეგმა
- კალენდარული გეგმა
- სასწავლო გარემო
- დანერგვა, მიზნები და ამოცანები
- სწავლის მეთოდები
- შიდა შემოწმების ანგარიშგება (შეფასების ინსტრუმენტის შესახებ)
- შიდა შემოწმების ანგარიშგება (განმსაზღვრელი შეფასების ფარგლებში მოპოვებული მტკიცებულებების შესახებ)
- სწავლების და გამოკითხვის უნარების შემოწმება
- კავშირები სწავლის პროცესში
- სასწავლო მასალა და რესურსები
- მასწავლებლის ქცევის და კომუნიკაციის უნარები
- მასწავლებლის ცოდნა
- სწავლების მენეჯმენტი
- სწავლის შეჯამება
- სტუდენტის ჩართულობა და რეაგირება
- დასწრება და პუნქტუალობა
- სწავლის დონე

- აღქმა/გაცნობიერება

### მუხლი 3. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის ამოცანები

1. კოორდინაცია იმ მასწავლებელთა აქტივობებს შორის, რომლებიც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვასა და განხორციელებაში არიან ჩართული;
2. სასწავლო მასალის შინაარსის კორელაციის მონიტორინგი, რომელიც უზრუნველყოფს განსაზღვრული ცოდნისა და უნარების მიღწევის შედეგს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების სხვადასხვა მოდულებში;
3. მიღებული ცოდნისა და უნარების (ანუ, ზოგადი/სავალდებულო/არჩევითი) სწავლისა და სწავლების მეთოდებთან კორელაციის მონიტორინგი;
4. სწავლების პროცესში წარმოშობილი პრობლემების იდენტიფიცირება;
5. პროგრამის/მოდულის ხარისხობრივი ანალიზის კითხვარის შეგროვება;
6. თითოეული პერიოდის შემდეგ სტუდენტთა მიღწევების ანალიზი;
7. ანგარიშის მომზადება გარე მხარდაჭერის ჯგუფისთვის.

### მუხლი 4. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის სტრუქტურა

1. შიდა მონიტორინგს ახორციელებს შიდა მხარდაჭერის ჯგუფი:
  - 1.1 ჯგუფის ხელმძღვანელი ( დირექტორის მოადგილე);
  - 1.2 წევრები: ხარისხის მართვის მენეჯერი; სასწავლო პროცესისა და სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი, დასანერგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მასწავლებელთა წარმომადგენელი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მასწავლებლები, რომლებიც დასანერგ მოდულებს ასწავლიან.

### მუხლი 5. ჯგუფის ხელმძღვანელის უფლებამოსილება

1. პროფესიული პროგრამების განხორციელებაში მონაწილე მასწავლებლებთან რეგულარული შეხვედრა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მათი ადეკვატური მომზადება და შედეგების ჩამოყალიბება;
2. პროგრამების დანერგვა/განხორციელებისთვის საჭირო კულტურის ჩამოყალიბება;
3. ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს თანამშრომლობას;
4. წახალისოს მასწავლებლები, გარკვეული რისკი გასწიონ პროფესიული პროგრამების დანერგვისა და განხორციელებისას, შეფასების პროცესზე რაიმე ზემოქმედების გარეშე;
5. გამოყენებული მასალის შესახებ მასწავლებლების რეაგირებისა და კომენტარების უზრუნველყოფა;
6. დასანერგი პროგრამებისთვის საჭირო სასწავლო მასალებით უზრუნველყოფა;
7. სხვადასხვა სასწავლო პროფესიული პროგრამების ურთიერთკავშირის შეფასება და პრობლემების იდენტიფიცირება.

### **მუხლი 6. ჯგუფის წევრების უფლებამოსილება**

1. სტუდენტებისთვის სწავლების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;
2. სწავლების პროცესში წარმოშობილი პრობლემების იდენტიფიცირება;
3. მიღებული ცოდნისა და უნარების (ანუ, ზოგადი/სავალდებულო/არჩევითი) სწავლისა და სწავლების მეთოდებთან კორელაციის მონიტორინგი;
4. მასწავლებლებისა და სტუდენტების კითხვარების შევსების ორგანიზება;
5. ჯგუფის ხელმძღვანელისა და კოორდინატორისგან მიღებული სხვა დამატებითი დავალებების შესრულება

### **მუხლი 7. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი**

წესში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე.